ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 119261742**

თარიღი:**23/06/2026**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა 2026 წლის 30 ივნისს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 10:30 სთ -ზე შემდეგი დღის წესრიგით:

ა) სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების, ასევე ფრაქციების დასკვნები დადგენილების პროექტზე „„წალკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის #33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

ბ) სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების, ასევე ფრაქციების დასკვნები დადგენილების პროექტზე „„წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის #34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

გ) სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების, ასევე ფრაქციების დასკვნები დადგენილების პროექტზე „,,წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის #17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

დ) სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების, ასევე ფრაქციების დასკვნები დადგენილების პროექტზე „„წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ " წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

ე) ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხებისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების, ასევე ფრაქციების დასკვნები, წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მიწის ნაკვეთების (ს.კ 85.14.22.048, 85.05.30.133) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემაზე.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი